პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

7 ოქტომბერი

შაბათი, 1961 წ.
№ 158 (1794)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





თბილისში, „დინამოს“ კორტებზე მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში. მონაწილეობენ: საქართველოს, უნგრეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

სურათებზე: თბილისელი რ. აბაანდაძე და უნგრელი ი. გუიაში თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

თავისუფლების 12 წელი

ხვალ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის 12 წლისთავს ზეიმობს. 1949 წელს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და დაიწყო ახალი ცხოვრება, რომლის მიზანია სოციალიზმი.

ამ ხნის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხალხის კეთილდღეობის განუხრელად ზრდას. ვითარდება ფიზკულტურა და სპორტი.

რომის ოლიმპიური თამაშების გმირი იყო წყალში მხტომელი ქალი ი. კრამერი, რომელმაც ჩემპიონის სახელი და ოქროს მედლები მოიპოვა კოშკიდან და ტრამპლინიდან ხტომაში. ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ჰ. გროდოცკი. იგი მეორე იყო 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში. ამ დიდი შეჯიბრების პრიზიორები გახდნენ მძლეოსანი გ. კელერბირკემაიერი და მოცურავე ბ. გებელი.

როცა გდრ-ს სპორტზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გ. შურის დიდ წვლილს ამ ქვეყნის ველოსპორტის განვითარებაში. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა ორჯერ გაიმარჯვა ისეთ დიდ შეჯიბრებაში, როგორიც მშვიდობის ველორბოლაა. მაგრამ ზემოჩამოთვლილი სპორტსმენების მაჩვენებლებით როდი ამოიწურება გდრ-ს სპორტის მიღწევები. აქაურ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მასობრივად იზრდებიან ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც მალე შეცვლიან ვეტერანებს, ახალ-ახალ გამარჯვებებს მოუტანენ თავიანთ სამშობლოს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიდის წინ სოციალიზმის გზით, საბჭოთა სახელმწიფოს, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან თანამეგობრობით იგი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ცხოვრების ყველა დარგში.



სურათზე: ლენინგრადელი ვ. ლიპსნისი, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა ბირთვის კვრაში, მთელი ძალების დაძაბვით, მონდომებით ახორციელებს მორიგ კვრას. ამ მონდომებამ მას ოქროს მედალი მოუტანა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ოქროს“ ნატყორცნი

საქართველოს გუნდს თითქოს განაღდებული ჰქონდა ყველა ჩათვლა (65 მ) შუბის ტყორცნაში, რადგან ოთხი ოსტატი ცდიდა ძალებს. მაგრამ საკვალიფიკაციო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნთველი გახდა, რომ ამაოდ დაშვრნენ კ. გორძეშვილი (61,59 მ), ლ. შაგოვი (63.19 მ) და ი. წულუკიძე (58.62 მ) და მხოლოდ ერთმა — ჰ. დაოვმა შეძლო ქულათა განსაზღვრული რაოდენობა მიეცა გუნდისათვის (მისი შედეგია 67.84 მ), ეს იყო და ეს. დაოვის მაჩვენებელიც არასაკმარისი აღმოჩნდა ფინალში გასვლისათვის.

ვ. ციბულენკომ ოქროს მედალი უკვე უძლიერესთა შეჯიბრების პირველ ეტაპზე დაკარგა, როცა ექვსეულში ვერ გავიდა.

გასული წლის ჩემპიონმა მ. პაამამ ფინალის პირველსავე ცდაზე თავის შარშანდელ პირველობაზე ნაჩვენებ შედეგს 79,77 მეტრს 1.24 მ მოუმატა და გარდუვალ მარცხის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ვ. კუზნეცოვი, მეორე ცდაზე პაამას შედეგი გაიმეორა ი. ლუსისმა (ლატვია). კვლავ ხული მიიღო კუზნეცოვმა და იგი ძალაუნებურად უნდა შერიგებოდა მესამე ადგილს, რადგან ფინალის წინასწარ შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგი 80.77 მ მეტის შანსებს არ იძლეოდა. ყველა მონაწილემ უკანასკნელად სცადა ბედი. დარჩა ერთადერთი — ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი. იგი კარგახანს მოთმინებით, გულმოდგინედ ემზადებოდა, მოთმინებით ელოდნენ კონკურენტებიც.

მსჯავრის კ. ხუციშვილის ნებართვისთანავე ვ. კუზნეცოვმა გააკეთა სწრაფი გამორბენი და... შუბმა გაკვეთა ჰაერი. პაამამ სწრაფად შეაფასა ტყორცნის სიძლიერე, ტექნიკური შესრულების სიზუსტე და ვიღრე მსაჯები შედეგს გამოაცხადებდნენ, გამარჯვება პირველმა მიულოცა. ეს იყო ტყორცნა (81.61 მ), რომელმაც ოქროს მედალი მოუტანა ვ. კუზნეცოვს. მეორეზე გამოვიდა მ. პაამა, მესამეზე — ი. ლუსისი.

ვ. ბრუმელის მეორე „სპეციალობა“

საბჭოთა კავშირის პირველობა მძლეოსნობაში

მოსკოვის I გუნდს სიგრძეზე ხტომაში ვაკთა შორის არ ჰყავდა თავისი ლიდერი — ევროპის რეკორდსმენი ი. ტერ-ოვანესიანი, მისი შეცვლის სურვილი გამოთქვა... ვ. ბრუმელმა, რომელმაც ორი დღის წინ მოიპოვა ოქროს მედალი სიმაღლეზე ხტომაში.

მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში გაამართლა იმედები და უკვე საკვალიფიკაციო შეჯიბრების დროს საკმაოდ შეურყია საფუძვლები „ჭეშმარიტ“ სიგრძეზე მხტომელებს — აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი 7.65 მ, რითაც მძლეოსნობის ამ სახეობაშიც შეასრულა ოსტატობა და სათავეში ჩაუდგა ფინალში გასულ 12 უძლიერესს. სხვათაშორის ოქროს მედლისათვის მებრძოლთა ამ რიცხვში ორი ჩვენი რესპუბლიკიდან მოხვდა — რ. ქოჩაკიძე (7.34 მ) და ა. ბედუკაძე (7.19 მ). ბედუკაძემ წელს პირველად მოიპოვა ასეთ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება, ამაზე მეტყველებს მისი გამოუცდელობაც, რაც ნერვიულობაში გადაიზარდა და ფინალის წინასწარ შეხვედრებში სამჯერვე დაარღვია წესი (ამასთან სამჯერვე კარგი ნახტომი განახორციელა) და სხვა 5 სპორტსმენთან ერთად გზა დარჩენილ 6 უძლიერესს დაუთმო.

ვ. ბრუმელმა მეორე ცდაზე მცირე ტრავმა მიიღო, მესამე ცდა აღარ შესრულდა, წინა ცდებზე ნაჩვენები შედეგები (7.26 და 7.17) კი საკმარისი არ აღმოჩნდა. მედლების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო ა. ვაუპშას (ლიტვა), რ. ქოჩაკიძეს, ა. ხალაჯის (უკრაინა I), დ. ბონდარენკოს (ლენინგრადი), ვ. იაკოვლევსა (რსფსრ) და ვ. დემიდენკოს (მოსკოვი II) შორის.

დ. ბონდარენკომ პირველ ცდაზე აჩვენა 7.69 მ, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონობისათვის. მეორე ადგილის მფლობელი გახდა ა. ვაუპშასი. მან ფინალის წინასწარ შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგით — 7.55 მოიპოვა ვერცხლის მედალი, რადგან ფინალში სამჯერვე ნული მიიღო.

უკანასკნელ მომენტამდე ბრინჯაოს მედლის მფლობელად მიაჩნდათ ვ. დემიდენკო — 7.45 მ, მაგრამ შესასრულებელი რჩებოდა ერთი ნახტომი, რომელიც ვ. იაკოვლევს უნდა შეესრულებინა. იგი 10 სმ-ით აგებდა რ. ქოჩაკიძესთან — 7.34 მ. სწორედ უკანასკნელ ცდაზე მოხდა მოულოდნელი. იაკოვლევი გადახტა 7.46-ზე. რ. ქოჩაკიძე მეექვსე ადგილზე დარჩა.

დაძაბული ბრძოლა

200 მეტრზე თარჯრბენის საკავშირო და მსოფლიო რეკორდების გრაფაში აღნიშნულია: ბ. კრიუნოვი — 22,9 და მ. ლაუერი (გფრ) — 22,5. როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მაჩვენებელი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება მსოფლიოს უმაღლეს მიღწევას და მძლეოსნობის მოყვარულები სიმართლიანად ელიან ბარიერისტებისაგან წინსვლას.

ფინალის მთავარმა ფავორიტებმა ლენინგრადელმა ა. მიხაილოვმა და უკრაინელმა ვ. ანისიმოვმა ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადასდგეს ნახევარფინალური გარბენის შემდეგ. ფინალის წინ საუკეთესო შედეგი ჰქონდა ა. მიხაილოვს — 23,6 გადამწყვეტ ბრძოლაში მან თავის შედეგს ერთბაშად 0,4 წამი დაკლო. ეს საკმარისი გამოდგა ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად, მაგრამ საკავშირო მიღწევა და განსაკუთრებით მსოფლიო რეკორდი, ჯერჯერობით კვლავ მიუღწეველი აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის შედეგი — 23,2 გაიმეორა უკრაინელმა ვ. ანისიმოვმაც, მაგრამ ფინიშის ხაზზე იგი გამარჯვებულზე მკვრდით უკან იყო და ამან მას მხოლოდ ვერცხლის მედალი მოუტანა. მესამე ადგილზე დარჩა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვ. ტრიუმოვი.

დიდი შეჯიბრება გრძელდება

I-X ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

მდგომარეობა 7 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	27	17	7	3	53:24	41
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	18	2	7	63:31	38
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	16	6	5	55:30	38
ᲪᲮᲐᲐ	27	15	5	7	58:39	35
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	26	12	10	4	46:31	34
„სპარტაკი“ (ერევანი)	27	11	9	7	38:35	31
„დინამო“ (თბილისი)	27	12	6	9	47:32	30
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	27	10	9	8	24:24	29
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	26	10	7	9	38:49	27
ᲮᲐᲐ (როსტოვი)	27	10	6	11	50:35	26

XI-XXII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

მდგომარეობა 6 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	29	15	7	7	52:35	37
„შახტიორი“ (სტალინო)	29	10	9	10	37:32	29
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	29	10	8	11	36:35	28
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	29	10	6	13	42:52	26
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	9	8	11	37:44	26
„ადმირალტეიცი“ (ლენინგრადი)	29	9	7	13	38:44	25
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	29	6	13	10	32:44	25
„კაირატი“ (ალმა-ატა)	29	9	7	13	29:44	25
„ბელარუსი“ (მინსკი)	29	6	9	14	24:40	21
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	29	6	5	18	27:60	17
„დაუგავა“ (რიგა)	28	5	6	17	27:53	16
„კალევი“ (ტალინი)	29	1	8	20	21:61	10

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ



გათამაშების ლიდერმა — კიევის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო თბილისელ თანაკლუბელთა გუნდი. კიეველებმა მატჩის პირველ ნახევარში გაატანეს ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ თამაშში. მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისელმა ფეხბურთელებმა მინდორზევე მიუღოცეს გამარჯვება და ესოდენ საჭირო 2 ქულა თავიანთ კიეველ თანაკლუბელებს, რომლებიც ოქროს მედლების მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტები არიან.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ხარკოვის „ავანგარდი“. მატჩს შედეგი არ მიუცია — 0:0. ფრედ — 1:1 დამთავრდა ტაშკენტის „პახტაკორისა“ და როსტოვის არმიელთა გუნდის მატჩი, რომელიც ტაშკენტში შედგა.

გუშინ მოსკოვში შედგა მეტად საინტერესო მატჩი ცსკა-სა და „ლოკომოტივს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

გასული წლის ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობდა ერევანში ადგილობრივი „სპარტაკის“ წინააღმდეგ. ერევნელებმა კვლავ კარგად ითამაშეს და დაამარცხეს მეტრქე — 1:0.

XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის მორიგ გამარჯვებას მიაღწია მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც მოუგო ლენინგრადის „ადმირალტეიცს“ — 4:1. დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „კაირატი“ (ალმა-ატა)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 0:0, „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 4:1, „ნეფტიანიკი“ (ბაქო)- „ბელარუსი“ (მინსკი) — 1:1, „შახტიორი“ (სტალინო)-„კალევი“ (ტალინი) — 3:2.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. (საკადრო), სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მატჩის შესახებ თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „სპარტაკს“ შორის, რომელიც თბილისში გაიმართა 1 ოქტომბერს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე და მსაჯმა ნ. გლატიშევმა შეწყვიტა თამაში მეორე ნახევრის 22-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 3:1 „სპარტაკის“ გუნდის სასარგებლოდ.

ფედერაციის პრეზიდიუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება — ჩაეთვალოს დამარცხება „დინამოს“ (თბილისი) გუნდს საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების შესაბამისად და წინადადება მისცა საქართველოს ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი ჭეროვანი წესრიგის უზრუნველსაყოფად „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ფეხბურთში შეჯიბრებათა მოწყობის დროს.

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატში წელს მრავალი სიახლეა. გაიზარდა სკოლის ტერიტორია, მოსწავლეთა კონტიგენტი, კლასების რაოდენობა. ბუნებრივია, გაფართოვდება პედაგოგიური კოლექტივის სამუშაო არეც.

სკოლა-ინტერნატი, განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის დახმარებით დიდ საქმეს აკეთებს — ზრდის სპორტულ რეზერვებს. სკოლის აღზრდილები—სსრ კავშირის ჩემპიონები ჭაბუკთა შორის კ. გორძელიშვილი და გ. გუდაშვილი ახლა უკვე საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრები არიან. თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატში, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა სკოლა-ინტერნატებში, მოსწავლეთა სპორტული დაოსტატების მიზნით გახსნილია სპორტული ჯგუფები. სკოლა-ინტერნატს ახლაც საკმაო რაოდენობით ჰყავს კარგი მონაცემების მქონე მოსწავლე-სპორტსმენები: ნორჩი ფეხბურთელები — მ. კობიაშვილი, ლ. აბულაძე, თ. გრძელიშვილი; მძლეოსნები — მ. მაქაცარია, დები მ. და ა. გაბუნიები, ც. ლიპარტელიანი, ო. ოდიშვილი, რ. ჩუბინიძე და სხვ.

ახლა საკითხი ასე დგას: სპორტსმენი უნდა იყოს ყოველმხრივ განათლებული, მაღალ კულტურული, თავისი კოლექტივის მგზნებარე პატრიოტი. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ყველა ეს კეთილშობილური თვისება აღსაზრდელებს სკოლის მერხიდან უნდა ჰაუნერგოთ. აი სწორედ ამ საკითხს გვინდა შევეხოთ; თუ როგორ მიმდინარეობს სკოლა-ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობა, როგორ სწავლობს და იზრდება ჩვენი სპორტული რეზერვი.

სურათი რომ მთლიანი იყოს, გადავხედოთ გასული სასწავლო წლის მაჩვენებლებს: I მეოთხედში 223 მოსწავლედან ვერ ასწრებდა 75, II მეოთხედში 234-დან — 65, III მეოთხედში 229-დან—42. საბოლოოდ სხვადასხვა კლასებში მეორე წლით 17 მოსწავლე დარჩა, ამდენივეს გამოჰყვა საშემოდგომო გამოცდა. ერთადერთმა მოსწავლემ დაამთავრა სასწავლო წელი ფრიადზე, ხოლო ათიოდემ — ოთხზე. მაჩვენებლები როგორც ხედავთ, ერთობ დაბალია. მიზეზი? მიზეზი ერთია: დაბალი აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის. უეჭველია, რომ პერიფერიებიდან ჩამოსულ მოსწავლეებთან მუშაობა მეტად რთულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მუშაობა თვითდინებაზე მივუშვათ.

ახალი სასწავლო წლის ჟურნალებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ არც ახლაა ყველაფერი რიგზე. აქ უხვად შეხვდებით პირველ ორიანებს, უკეთეს შემთხვევაში — სამიანებს, და მხოლოდ აქა-იქ, კანტი-კუნტად — ოთხიანებსაც.

ინტერნატი სპეციფიური დაწესებულებაა, სადაც ძირითად როლს აღმზრდელები ასრულებენ. ისინი პასუხისმგებელი არიან ბავშვის ქცევასა და აკადემიურ მოსწრებაზე. ამიტომ საინტერესოა გავეცნოთ, თუ როგორ ასრულებენ ისინი მათზე დაწესებულ მოვალეობას.

სკოლა-ინტერნატს საკმაო რაოდენობით ჰყავს აღმზრდელები, ხოლო V-VII კლასებს ორ-ორიც კი. პირველ რიგში ისინი არიან ვალდებული მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, კარგ ქცევასა და აღზრდაზე. აი, ერთი საილუსტრაციო მაგალითი: საღამოს 5 საათია. მოსწავლეები უნდა შეუდგნენ თვითმომზადებას, ყველა აღმზრდელი საჭიროა იმყოფებოდეს კლასში, თავის აღსაზრდელ ჯგუფთან, მაგრამ შემოწმების დროს X' კლასის მოსწავლეებთან აღმზრდელი ძოწენიძე მნიშვნელოვანი დაგვიანებით შევიდა. იგი და უფროსი აღმზრდელი კანდელაკი ამ დროს სამასწავლებლო ოთახში იმყოფებოდნენ. ძოწენიძე ტელეფონით იყო გართული. ჩვენ ჩამოვიარეთ ყველა კლასი, სადაც მოსწავლეები აღმზრდელების დახმარებით გაკვეთილებს ამზადებდნენ. თითქმის არ იყო კლასი, რომ მოსწავლე არ კლებოდა. ასეთი აქ 10 კლასია და ამ კლასებში 50-მდე მოსწავლე არ დაგვხვდა. ძირითადში აღმზრდელთა პასუხი ასეთი იყო: — „მოსწავლეები მძლეოსნობის სექციაში სავარჯიშოდ არიან წასული“ (?!). ზოგიერთ შემთხვევაში აღმზრდელებმა ზუსტად არ იცოდნენ თუ სად იყვნენ მათი მოსწავლეები წასული: ვარჯიშზე, ავად იყვნენ თუ არასაპატიო მიზეზით აცდენდნენ (მაგალითად, აღმზრდელი მ. მჭედლიშვილი). ამასობაში აღმზრდელი ძოწენიძეც შესდგომოდა თავის მოვალეობას X' კლასში. აქ 22 მოსწავლიდან მხოლოდ 9 ესწრებოდა. ამას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ინტერნატის სამი მოსწავლე გოგონა გარეთ, ინტერნატის სადარბაზო შესასვლელთან სტუმრად მოსულებს ესაუბრებოდა. აი, უპასუხისმგებლობის ლოგიკური შედეგი.

ახალ სასწავლო წელს სკოლა-ინტერნატი მუშაობს საწარმოო სწავლების ახალი გეგმით. ამ სიახლესთან დაკავშირებით შედგა გაკვეთილების ახალი ცხრილი, სადაც მოსწავლეთა სპორტული დაოსტატებისათვის შესაფერისი დროა გამოყოფილი. მოსწავლეს აღარ უნდა შეეშალოს ხელი გაკვეთილების მომზადებაში, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. გაკვეთილების ახალი ცხრილი, როგორც ეს სკოლის (სკოლაში ჩვენ ვიყავით სექტემბრის მეორე ნახევრის დასაწყისში), მესვეურებმა გვაცნობეს, საბოლოოდ დამკვიდრდება უახლოეს დღეებში. ამგვარად, ახალი ცხრილის შემოღების შემდეგ მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებისათვის უკეთესი პირობები შეექმნება.

როცა ვათვალიერებდით აღმზრდელების სამუშაო გეგმებს, შევხვდით ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. მათს სამუშაო გეგმებში თითქმის არაა გათვალისწინებული მწვრთნელებთან ერთობლივი მუშაობის საკითხები. 10 ჯგუფიდან მხოლოდ მ. მჭედლიშვილს, მ. ლაღიძესა და კანდელაკს აქვთ გათვალისწინებული სპორტულ მწვრთნელებთან ერთობლივი მუშაობის საკითხები, თუმცა ისინიც ზერელედ მოფიქრებულია და აღმზრდელისა და მწვრთნელის ერთობლივი ნამდვილი სერიოზული მუშაობისათვის საკმარისი არაა. გავეცნოთ იმ საკითხებს, რომლებიც აღმზრდელებს თავიანთ სამუშაო გეგმებში გაუთვალისწინებიათ. უფრ. აღმზრდელი კანდელაკი — მას თავის გეგმაში რიგით 29-ე საკითხად გაუთვალისწინებია (ციცავთ ავტორთა სტილს): „სპორტული სექციების რეჟიმის გაცნობა და მოსწავლე-აღსაზრდელთა დახმარების გაწევა ამ დარგში — ყოველი მეოთხედის დასაწყისში“. აღმზრდელ მ. მჭედლიშვილსაც თავის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული აქვს ერთი საკითხი: „სხვადასხვა სპორტულ წრეებში ჩაბმულ მოსწავლე-აღსაზრდელებთან ვარჯიშზე დასწრება (სპორტული მიღწევა, ქცევა და სხვ.) — მეოთხედში სამჯერ“. აღმზრდელ მ. ლაღიძეს შედარებით ვრცლად აქვს წარმოდგენილი მოსწავლეთა სპორტული ცხოვრების არსი. მას უფრო სწორად აქვს გაგებული რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მოსწავლე- სპორტსმენთა შორის.

ჩვენ გვგონია, რომ ინტერნატის პედაგოგიური საბჭოსა და დირექციის დიდი შეცდომაა ამ ფრიადმნიშვნელოვანი საკითხის უგულებელყოფა. აღმზრდელის მოვალეობის ასეთი ცალმხრივი გაგება დაბალი დისციპლინისა და აკადემიურად ჩამორჩენის სათავეა.

აღმზრდელთა სამუშაო გეგმებში ცალკე ქვეთავად არის გამოყოფილი ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხები. სამუშაო გეგმებში აღმზრდელი-მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვთა გარეგნული შესახედაობის, წესიერი ჩაცმა-დახურვის, მათთან საუბრების ჩატარებას კულტურის საკითხებზე და ა. შ. ყველაფერი ეს მხოლოდ გეგმებშია, ქაღალდზე, სინამდვილეში კი, რაც ახლა ამ მხრივ ინტერნატში სუფევს, დაუყოვნებლივი ამოშლის ღირსია. ინტერნატის მოსწავლეთა ჩაცმა-დახურვას თუ დააკვირდებით, წამსვე შენიშნავთ, რომ სიფაქიზე და წესრიგი მათთვის უცხო ხილია. მათი ტანსაცმელი წიგნებთან, სხვადასხვა ნივთებთან და საჭმელთანაც კია არეული. მოსწავლეები ხილის ნარჩენებსა და ნარეცხ წყალს პირდაპირ ქუჩაში ჰყრიან და ღვრიან... ინტერნატის ორივე კორპუსში მოსწავლეთა საძინებელი ოთახები უმრავლეს შემთხვევაში დაულაგებელია და ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. ფანჯრის მინები, სარკეები ჭუჭყითაა შებოლილი, დერეფნებისა და ოთახების ფანჯრის მინები ჩალეწილია, არსად არ იგრძნობა ის სითბო, რომელიც მშობლებს მოცილებულ ბავშვებს სჭირდება.

ისმის კითხვა, რას აკეთებს ინტერნატის კომკავშირული ორგანიზაცია, ასრულებს თუ არა იგი მოწინავე როლს მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში? ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, ვინაიდან გასულ სასწავლო წელს 90 კომკავშირელიდან მხოლოდ 14 მოსწავლე სწავლობდა შედარებით კარგად. ეს ციფრი გვიჩვენებს, რომ კომკავშირი აქ თავის ძირითად მოვალეობას ვერ ასრულებს.

სკოლა-ინტერნატი არაა იზოლირებული უცხო პირთაგან. აქ თავისუფლად შეიძლება შესვლა (ეს ეხება კორპუსს, სადაც მეცადინეობა ტარდება და ვაჟები ცხოვრობენ), არავინ გკითხავთ რა მიზნით ხართ მოსული და ამიტომაა, რომ აქ მოდიან არასასურველი სტუმრები მოსწავლე გოგონებთანაც და ვაჟებთანაც.

აი ყველა ის მიზეზი, რაც ხელს უშლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ზრდასა და მაღალკულტურული სპორტსმენების აღზრდის საქმეს. სკოლის დირექციამ (დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ღუდუშაური) ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ

Მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ Მ. ᲢᲐᲚᲡ

გუშინ მსოფლიო ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა დეპეშით მიულოცა მ. ტალს დიდი გამარჯვება ბლედის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. მ. ტალის წარმატება, ნთქვამია დეპეშაში, მეტყველებს მის დაუცხრომელ ენერგიაზე მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაბრუნებისათვის.

მ. ბოტვინიკის აზრით, მ ტალის უახლოესი და სერიოზული მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის ბრძოლაში იქნებიან ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი და ამერიკელი ბ. ფიშერი.

ბოლოს მსოფლიო ჩემპიონი უსურვებს მ. ტალს ახალ შიღწევებს საჭადრაკო სარბიელზე.

ᲚᲔᲚᲝ

მე-2 ᲒᲐᲖ. № 158 (1794)

დიდი შეჯიბრება გრძელდება

საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

„აქილევსის ქუსლი"

ლ. ლისენკო-შევცოვა.
მეგობრული შარჟი გ. დოლიძისა.

ვაჟთა რბენა 800 მეტრზე მძლეოსნობის ერთ-ერთ ურთულეს სახეობას წარმოადგენს. იგი ტიპიური საშუალო დისტანციაა, მაგრამ ამ მანძილზე მორბენალს, თუ მას მაღალ შედეგებზე აქვს პრეტენზია, უნდა ჰქონდეს სპრინტერის სისწრაფე და სტაიერის გამძლეობა. გარდა ამისა, 800 მეტრზე რბენა მოითხოვს დიდ ტაქტიკურ მომზადებას, ვინაიდან ორი წრე საფეხბურთო მინდვრის გარშემო საკმაო დროა ფსიქოლოგიური ბრძოლისათვის სპორტსმენებს შორის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა მძლეოსნები საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან 800 მეტრზე რბენაში. განვლილ ოლიმპიურ თამაშებზე რომში ჩვენი გუნდის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა ექვსეულში და გარდა ამისა, საგრძნობი განსხვავებაა ბელგიელი რ. მუნსის მსოფლიო რეკორდსა (1.45,7) და ვ. სავენკოვის საკავშირო რეკორდს შორის (1.47.4).

ჩვენი მორბენლების ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა მიმდინარე შეჯიბრებაში. უკვე მაშინ, როცა ფინალისტებმა განვლეს პირველი წრე (55,8 წამი) ცხადი იყო, რომ გამარჯვებულის შედეგიც კი დამაკმაყოფილებელზე გაცილებით დაბალი იქნებოდა. ასეც მოხდა. რბენის ფავორიტი ვ. სავენკოვი ტაქტიკური მოსაზრებით ზურგში მისდევდა ლიდერებს და მხოლოდ დისტანციის დასასრულს გავიდა წინ, მაგრამ თუ ეს ტაქტიკური მანევრი გამართლებული იყო პირადი გამარჯვების თვალსაზრისით, შედეგის მიხედვით იგი არა თუ გაუმართლებელი, არამედ დასაგმობიცაა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ყველაზე უკეთესია მოვიყვანოთ ჩემპიონის — ვ. სავენკოვის (ყაზახეთი) შედეგი — 1.51,2. ასეთი მაჩვენებლებით 800 მეტრზე რბენა კვლავ „აქილევსის ქუსლად" დარჩება ჩვენში. მეორე ადგილი დაიკავა ვ. კულეშოვმა (ლენინგრადი) — 1.51,4, ხოლო ვ. სიმბირცევმა (მოსკოვი) — 1.51,5.

მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს მძლეოსანთა შედეგებს, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო არასახარბიელოა. 4 მორბენლიდან, რომლებიც შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ფინალში ვერ გავიდა ვერავინ. მათგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ე. გონჩაროვს — 1.55.0. ეს დრო კი არავითარ შემთხვევაში არაა დამაკმაყოფილებელი.

ი. პრესმა გაიმეორა საკავშირო რეკორდი

80 მეტრზე თარჯრბენის ნახევარფინალებმა ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. ჩემპიონის ოქროს მედლის პოტენციურმა პრეტენდენტებმა შეჯიბრების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მიიღეს. აქ იყვნენ საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გ. ბისტროვა (ნახევარფინალის შედეგები 11,0) და გასული წლის ჩემპიონი ი. პრესი (10,7), რ. კოშელევა (11,0) და გ. მაკარკინა (11,0). ახალგაზრდა ბარიერისტები ლ. კულკოვა (10,8) და ნ. ელისეევა (11,0)—ერთი სიტყვით, ყველას მკერდსაც ღირსეულად დაამშვენებდა 1961 წლის ჩემპიონის ოქროს მედალი.

მაგრამ ღირსეულებს შორისაც ყოფილან ღირსეულები და ფინალური გარბენის დაწყებამდე ყველანი (მაყურებლებიც და მონაწილენიც) დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გასული წლის ჩემპიონი წელსაც შეინარჩუნებდა მაღალ ტიტულს.

ი. პრესი დღეს უდაოდ მოვლენაა მსოფლიოს მძლეოსნური სპორტის ისტორიაში. მისი თვალშეუვლებელი ტექნიკა, რბენის აზარტული მანერა და გამარჯვებისაკენ შეუნელებელი სწრაფვა სამართლიანად ხიბლავს მაყურებელს და ძალაუნებურად მისდამი განაწყობს. ფინალური გარბენის პირველსავე მეტრებიდან დაიპყრო ი. პრესმა მაყურებელი. იგი სულ უფრო და უფრო მეტად სცილდებოდა თავის ძირითად კონკურენტებს და დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა ფინიშის ხაზს. როდესაც ი. პრესმა გადალახა საკონტროლო ხაზი, წამმზომებმა აღნიშნეს საკავშირო რეკორდის გამეორება — 10,6.

მეორე ადგილზე გამოსული გ. ბისტროვას შედეგი 0,3 წამით ჩამორჩებოდა გამარჯვებულის მაჩვენებელს.

მეოთხე დღის ტექნიკური შედეგები

ქ ა ლ ე ბ ი

რბენა 400 მ — ე. პარლიუკი (ლენინგრადი I) — 54,3; ვ. მუეანოვა (მოსკოვი I) — 54,7; ლ. აუზინია (ლატვია) — 55,2. **შუბის ტყორცნა** — ე. ოზოლინა (ლენინგრადი I) — 56.98; ა. შესტიცკო (ლენინგრადი I) — 53.15; ე. გორჩაკოვა (მოსკოვი I) — 53.10. **ბირთვის კვრა** — თ. პრესი — 16.95; გ. ზიბინა — 16.49; ზ. დოინიკოვა (სამივე ლენინგრადის I გუნდი) — 16.25. **ესტაფეტა 4×100 მ** — ლენინგრადი I — 45,9; მოსკოვი I — 46,6; უკრაინა I — 46,8. **ესტაფეტა 4×200 მ** — რსფსრ—1.37,4; ლენინგრადი I — 1.38,6; ბელორუსია — 1.39,4.

ვ ა ჟ ე ბ ი

თარჯრბენი 400 მ — ვ. ანისიმოვი (უკრაინა I) — 51,1; გ. ჩუვიჩალოვი (რსფსრ I) — 51,1; ა. კლეპინი (ლენინგრადი I) — 51,4; 1.500 მ — ვ. კარაულოვი (მოსკოვი I)—3.51,2; ვ. ვალიავკო (რსფსრ I) — 3.51,4; ვ. ლეიბოვსკი (მოსკოვი I) — 3.51,8. **სამხტომი**—ვ. კრეერი (რსფსრ I) — 16.54; ვ. გორიაევი (ბელორუსია) — 16.52; ა. დემენტიევი (აზერბაიჯანი) — 16.26. **უროს ტყორცნა** — ვ. რუდენკოვი (მოსკოვი I) — 68.95 (ახალი საკავშირო რეკორდი); ვ. მიგუნკო (მოსკოვი II) — 65.44; ვ. ტატარინცევი (აზერბაიჯანი) — 64.78. **ჭოკით ხტომა** — ი. პეტრენკო (უკრაინა I) — 4.60 სმ; ი. კრასოვსკისი (მოსკოვი I) — 4.60 სმ; ი. პლეშჩაკოვი (მოსკოვი I) — 4.40 სმ.

5.000 მ. პ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი I) — 14.08,8; ი. სმირნოვი (რსფსრ) — 14.17,4; ა. გორნი (უკრაინა I) — 14.17,6.

3.000 მ წინაღობებით — ა. კონოვი (სომხეთი) — 8.43,6; ვ. ევდოკიმოვი (ლენინგრადი I) — 8.45,2; ნ. სოკოლოვი (რსფსრ) — 8.51,6.

ესტაფეტა 4×100 მ — ლენინგრადი 1 — 40,7; რსფსრ I — 41,5 აზერბაიჯანი — 41,6.

სარბენ ბილიკზე თანატოლები

ლენინგრადელი სპრინტერი ე. ოზოლინი და მისი მოსკოველი მეტოქე ს. პროხოროვსკი თანატოლები არიან: ორივე 22 წლისაა, ორთავე საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდის და ორივეს მიმდინარე სეზონში ერთნაირი საუკეთესო შედეგი აქვს 100 მეტრზე რბენაში — 10,4. ე. ოზოლინი და ს. პროხოროვსკი გამარჯვების მთავარი კონკურენტები იყვნენ 200 მეტრზე რბენის ფინალშიც. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის მათთან ერთად იბრძოდნენ ახალგაზრდა ნ. პოლიტიკო და სპრინტის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ბარტენიევი.

აი, ამ ოთხეულს შორის უნდა განაწილებულიყო საპრიზო ადგილები, სტარტიდან დაწინაურდა ს. პროხოროვსკი, რომელსაც მჭიდროდ მოსდევდა ფინალისტთა მთელი მასა. 100-მეტრიან სწორზე პროხოროვსკის „თვალში ჩაუჯდნენ" ე. ოზოლინი და ლ. ბარტენიევი. ეს სამეული დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა ფინიშს. საკონტროლო ხაზამდე 10 მეტრით ადრე ე. ოზოლინმა მკვეთრად გაზარდა ტემპი. ტემპი გაზარდა ლ. ბარტენიევმაც და აი ეს სამეული ელვის სისწრაფით გადაევლო საკონტროლო ხაზს.

შეუიარაღებელი თვალით ძნელი იყო გამარჯვებულის გარკვევა,- მაგრამ აქ მაყურებლებს დაეხმარა მსაჯთა კოლეგია. როგორც გამოირკვა, ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე ე. ოზოლინმა გადაკვეთა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა ს. პროხოროვსკი და ლ. ბარტენიევი. საპრიზო ადგილებიც სწორედ ამ თანმიმდევრობით განაწილდა. გამარჯვებულთა სამეულის დროა — 21,5.

თავისი პრინციპის ერთგული

უკანასკნელ წლებში არ ყოფილა შეჯიბრება, რომ მ. იტკინას პირველი ადგილი ვინმესთვის დაეთმოს. ყოველი სტარტის შემდეგ იგი, როგორც წესი, პირველია ფინიშთან. მ. იტკინას უკვე კარგა ხანია არ ჰყავს კონკურენტი, ამიტომ იგი ებრძვის მხოლოდ თავის თავს.

200 მეტრზე რბენის ნახევარფინალში იტკინამ საგრძნობლად გაუსწრო თავის კონკურენტს, მოლდაველ ვ. მასლოვსკაიას. მას რბენის ტემპის შენელებაც შეეძლო ფინიშთან (რადგან პირველი ადგილი და ფინალში მონაწილეობა განაღდებული ჰქონდა), მაგრამ იგი აქაც თავისი პრინციპის ერთგული დარჩა. ბრძოლა წამმზომის ულმობელ ისართან, ბრძოლა ახალი, მაღალი შედეგისათვის — აი ამ შესანიშნავი სპორტსმენის პრინციპის არსი, რომელსაც იგი არასდროს ღალატობს.

მ. იტკინა პირველი იყო ფინალშიც. მან ოთხი— ხუთი მეტრით ჩამოიტოვა უკან მეორე ადგილზე გამოსული ვ. მასლოვსკაია. მართალია, მ. იტკინას ფინალური შედეგი — 24,0 შორსაა მისსავე საკავშირო რეკორდისაგან (23,4), მაგრამ მან გადამწყვეტ ბრძოლაში თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ჩააქსოვა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს უფრო ღირსეული მეტოქე რომ ჰყოლოდა ფინალში, შედეგიც შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, რადგან უმაღლესი მაჩვენებლები სწორედ დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში იშვება. მეორე ადგილზე გამოსულ ვ. მასლოვსკაიას და ბრინჯაოს მედლის მფლობელს ლ. იგნატიევას (რსფსრ) ერთნაირი შედეგები ჰქონდათ ფინალში—24,5.

სტუდენტი ფრენბურთელები

ამ დღეებში ხარკოვში დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთში საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 ვაჟთა და 16 ქალთა გუნდი, მათ შორის საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდები. ქვეჯგუფებში ჩვენი რესპუბლიკის როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებმა ყველა წინასწარი თამაშები მოიგეს და გავიდნენ ფინალში.

ფრენბურთელთა პირველობის ფინალში ჩვენმა ვაჟებმა დაამარცხეს ლენინგრადისა და ალმაატის ძლიერი გუნდები, შემდეგ კი დამარცხება განიცადეს ბაქოს ფრენბურთელებთან და II ადგილი მოიპოვეს. ქალთა გუნდმაც ფინალში ორი გამარჯვება მოიპოვა — მოსკოველებთან და მინსკელებთან, ხოლო წააგო ლენინგრადის ძლიერ გუნდთან. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელმა ქალებმაც II ადგილი მოიპოვეს.

ე. ამირანაშვილი

ახალი ჩემპიონები

ტაშკენტში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის სპორტსმენთა შორის.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: **მჩატე წონაში** — ტროსტიანსკი (უკრაინა), ფიშმანი (უკრაინა), მნაცაკანიანი (სომხეთი). **მსუბუქ წონაში**—ფესენკო (უკრაინა), ქიტინიოვი (ბელორუსია), გამარნიკი (უკრაინა), **საშუალო წონაში** — ანფინოგენოვი (მოსკოვი), კიროვი (მოსკოვი), ვანინი (მოსკოვი), **მძიმე წონაში** — ბოგდანი (უკრაინა), როშჩინი (მოსკოვი), შმაკოვი (მოსკოვი).

საქართველოს მოჭიდავეებიდან უკეთესი ადგილები დაიკავეს მჩატე წონის მოჭიდავეებმა ნუცუბიძემ და ეგაძემ. პირველი გამოვიდა მეხუთე ადგილზე, ხოლო მეორე— მეექვსეზე.

ამ დღეს მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა ბადროს ხატყორცნ სექტორზე მსოფლიო რეკორდსმენი თ. პრესი — გაეუმჯობესებინა რეკორდი, უკიდურეს შემთხვევაში არავისთვის დაეთმო ოქროს მედალი. იგი ყოველ ნატყორცნს გულდასმით ადევნებდა თვალს. აი, ახლაც, მორიგი ტყორცნა შესრულდა. ბადრო ჭერ კიდევ ჰაერშია და სპორტსმენი წრიდან გამოუსვლელად შეჰყურებს მის ფრენას. ბადრო დაეცა 58 მ 53 სმ-ზე. რეკორდი არ არის, მაგრამ შედეგი საკმაოდ მაღალია. მასვე დარჩა ჩემპიონობა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლეგენდა ვაკლესიზე!

გთხოვთ გაგვაცნოთ ცნობილი ფეხბურთელის, დი სტეფანოს ბიოგრაფია. — გვთხოვენ თბილისელი მოსწავლეები მ. და გ. ჭილაიები.

ცნობილი ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ ყოველწლიურად ატარებს კონკურსს „ვინ არის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი?“. ამ თავისებურ შეჯიბრებაში ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას უწევს ორი გამოჩენილი თავდამსხმელი: ალფრედო დი სტეფანო („რეალი“) და რაიმონ კოპა („რეიმსი“). 1957 წელს ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად ცნობილ იქნა დი სტეფანო. მომდევნო წელს, მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ, გამარჯვება კოპას დარჩა, გასულ წელს სპეციალისტების დიდმა უმრავლესობამ (80 ხმა 42-ის წინააღმდეგ) პირველობა ისევ დი სტეფანოს მიაკუთვნა. მანვე გაიმარჯვა მრავალი სხვა გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსშიც.

დი სტეფანოს ცხოვრება ფეხბურთთანაა დაკავშირებული. მისი მამა, ტომით იტალიელი, წლების განმავლობაში ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა ბუენოს-აირესის „რივერ პლატაში“. პატარა ალფრედომ ბევრი რამ ისწავლა მამისაგან, ხოლო 1943 წელს, როდესაც იგი 16 წლისა ჯერ კიდევ არ იყო, თვით დაიწყო „რივერ პლატაში“ თამაში. ჭაბუკმა ცენტრფორვარდმა, რომელსაც დახვეწილი ტექნიკა ჰქონდა, მალე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ექვსი სეზონი გაატარა ჭაბუკმა თავდამსხმელმა „რივერ პლატაში“. ამ ხნის განმავლობაში ეს კლუბი ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო მისმა ცენტრფორვარდმა, როგორც სეზონის ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა, სპეციალური ჯილდოებიც კი მოიპოვა.

1949 წელს კოლუმბიელმა საქმოსნებმა მძიმე ლახვარი ჩასცეს არგენტინულ ფეხბურთს. ერთი სეზონის მანძილზე მათ გადაიბირეს თითქმის ყველა გამოჩენილი არგენტინელი ოსტატი. დი სტეფანომ არ მიბაძა თავის მასწავლებელ ლაბრუნას (რომელიც მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე მხოლოდ „რივერ პლატაში“ თამაშობდა) და ბოგოტას „მილიონარიოსში“ გადაბარგდა. ოთხი სეზონი გაატარა მან ამ კლუბში. ამ ხნის განმავლობაში „მილიონარიოსი“ სამჯერ იყო ჩემპიონი, ხოლო დი სტეფანო — ამდენჯერვე ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელის ჯილდოს მფლობელი.

1953 წელს „მილიონარიოსი“ გასტროლებზე ჩავიდა ესპანეთში, სადაც დი სტეფანოს თამაშმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ევროპული გაზეთები მას „შეუდარებელ ცენტრფორვარდსა“ და „გენიალურ ფეხბურთელს“ უწოდებდნენ, კლუბები ერთმანეთს ნამდვილ ბრძოლას უმართავდნენ, რათა დი სტეფანო ხელთ ეგდოთ. განსაკუთრებით წაეკიდნენ ერთმანეთს „რეალი“ და „ბარსელონა“. პირველად „მილიონარიოსმა“ დიდ ფასად თავისი ლიდერი „ბარსელონას“ დაუთმო, სადაც იგი მცირე ხნის განმავლობაში თამაშობდა კიდეც, მაგრამ შემდეგ იმძლავრა „რეალის“ პატრონმა სანტიაგო ბარნაბეუმ.

ამ დღიდან ნაკლებ პოპულარული „რეალი“ უძლიერესი კლუბი გახდა. უფრო მეტიც, მან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ექვსი გათამაშებიდან ხუთჯერ გაიმარჯვა, არაერთხელ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

აი, როგორ ახასიათებს დი სტეფანოს თამაშს მისი ყოფილი პარტნიორი და დიდი სპორტული მეტოქე კოპა:

„მსოფლიოში მრავალი გამოჩენილი ფეხბურთელია, მაგრამ მათ თუ შევაფასებთ 10-ბალიანი სისტემით, იმ ელემენტების მიხედვით, რომლებისგანაც ფეხბურთი შედგება, პირველი ადგილი დი სტეფანოს ეკუთვნის. მე მას 10 ბალს ვაკუთვნებ კარში დარტყმისათვის, 8 ბალს—დრიბლინგისათვის; 7 ბალს —თავით თამაშისათვის, 10 ბალს—თამაშში ორიენტაციისა და მოედნის ხედვისათვის. ესაა ექსტრაკლასის ფეხბურთელი, რომელიც ხშირად ღრმად იხევს უკან და მრავალსვლიან კომბინაციას იწყებს, რომელსაც ან თვით ამთავრებს, ან ბურთს აწვდის პარტნიორს. მას არ უყვარს, როცა პერსონალურად დარაჯობენ, თუმცა არ უფრთხის მას“.

დი სტეფანო სპეციალური ვარჯიშის გარდა მისდევს მძლეოსნობას, თამაშობს კალათბურთს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს იგი რჩევას აძლევს: უპირველესყოვლისა, იზრუნონ ტექნიკის სრულყოფაზე, ყოველდღიურად იზრუნონ ფორმის შენარჩუნებაზე, ერიდონ სასმელს, რაც შეიძლება მეტ ხანს შეინარჩუნონ ჭაბუკური ენთუზიაზმი და თამაშის ხალისი.

როდესაც დი სტეფანო ფეხბურთს თავს დაანებებს, იგი აპირებს თავის ოჯახით (მას ოთხი შვილი ჰყავს) არგენტინაში დაბრუნებას. მას არ სურს ფეხბურთის მწვრთნელი გახდეს, რადგან ეს, მისი აზრით, მეტად მძიმე და უსიამოვნო პროფესიაა. დი სტეფანოს განცხადებით, იგი მიბაძავს თავის წინაპრებს და სოფლის მეურნეობას მოეკიდება.

გ. გამრეკელი

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ „ᲔᲣᲠᲝᲠᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲥᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲡ

გაზეთ „ლელოს“ მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო საჭადრაკო კონკურსს ეტიუდების შედგენაში გამოეხმაურა მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი კომპოზიტორი. კონკურსის ჟიურიმ მიიღო 120 ეტიუდი 72 შემდგენლისაგან, რაც იშვიათი მოვლენაა დიდი კონკურსების პრაქტიკაშიც კი. კონკურსზე შემოვიდა ეტიუდები საბჭოთა კავშირის მრავალი მხარიდან: მოსკოვიდან და ერევნიდან, სვერდლოვსკიდან და ბაქოდან, ტაშკენტიდან და ფრუნზედან, ნოვოსიბირსკიდან და ლვოვიდან, შორეული ჩუკოტკიდან, მაღალმთიანი მესტიიდან და ა. შ. თავიანთი ნაწარმოებები გამოგზავნეს აგრეთვე ეტიუდისტებმა ნიუიორკიდან, ბუდაპეშტიდან, პრაღიდან, ბელგრადიდან, ბუქარესტიდან.

1 ოქტომბერს შეწყდა საკონკურსო ეტიუდების მიღება. მაგრამ ჯერ კიდევ მოდის წერილები, რომლებიც გამოგზავნილია სექტემბრის დამლევს. მაგალითად, გუშინ დილით რედაქციაში შემოვიდა ეტიუდები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, სტალინგრადიდან, ყუსტანაის ოლქიდან, ირკუტსკიდან.

კონკურსის ჟიური (გ. ნადარეიშვილი, გ. გაჩეჩილაძე, თ. გიორგაძე) უკვე შეუდგა საკონკურსო ეტიუდების გაცნობას. ჟიური ამოირჩევს საუკეთესო ნაწარმოებებს, რომლებსაც პრეტენზია ექნებათ პრიზებზე, საპატიო და საქებ შეფასებებზე. შემდეგი გულდასმითი ანალიზით მოხდება საბოლოო შერჩევა.

როგორც ჟიურის წევრები გვატყობინებენ, კონკურსზე შემოსულია ბევრი მაღალმხატვრული ეტიუდი; ზოგი მათგანი შედგენილია ახალგაზრდა ავტორების მიერ. არის ისეთი ეტიუდებიც, რომლებიც პირველი გაცნობისთანავე გამოითიშნენ კონკურსიდან აშკარა შეცდომების გამო.

ჟიური საბოლოო შედეგებს დაადგენს ნოემბრის დამდეგს.

მიმდინარე წელს ბაქოში მოსწავლეთა საკავშირო VII სპარტაკიადაზე საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენებმა ბაიდარებით შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა გოგონებმა ს. ბაიდანოვამ, ს. ბანნიკოვამ, ა. მარკოვსკაიამ და თ. ტოლკაჩოვამ ოქროს მედლები და ჩემპიონთა ტიტულები მოიპოვეს ბაიდარებით 4×500 მეტრზე ესტაფეტაში.

სურათზე: ბაიდარებით ესტაფეტაში გამარჯვებული სოხუმელი გოგონები (მარცხნიდან) თ. ტოლკაჩოვა და ა. მარკოვსკაია.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

ᲠᲝᲖᲣᲔᲚᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ

პარიზში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა პროფესიონალ ჩოგბურთელთა შორის საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატებში უკანასკნელი წლების მანძილზე, როგორც წესი, უცვლელად იმარჯვებდა რიკარდო გონზალესი (აშშ), რომელსაც მიმომხილველები ყველა დროის უძლიერეს ჩოგბურთელს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ გონზალესი უკვე საკმაოდ ასაკოვანია (35 წლისაა), იგი ამჯერადაც ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად მიაჩნდათ, მაგრამ მიმომხილველები შეცდნენ.

„როლან გაროს“ კორტებზე გამართულმა შეჯიბრებამ დაამტკიცა, რომ დადგა ვეტერანის წასვლის დრო. ამჯერად გონზალესის მთავარი მეტოქე იყო არა „კრამერის ციკის“ პრემიერი ლუის ჰოადი (ავსტრალია), არამედ ჟენ როზუელი. ეს ჩოგბურთელიც ავსტრალიელია, დიდ წარმატებებს მიაღწია უკანასკნელ წლებში და „კრამერის ციკში“ ითვლება მესამე მოთამაშედ გონზალესისა და ჰოადის შემდეგ.

პარიზის ტურნირში გონზალესმა და როზუელმა სძლიეს ყველა დანარჩენ მეტოქეს და ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ ფინალურ მატჩში. გონზალესი 10 წლის განმავლობაში უძლეველი იყო ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაში. მან თამამად დაიწყო შეჯიბრება და მოიგო პირველი პარტია — 6:2. შემდეგში უპირატესობა ახალგაზრდა ავსტრალიელის მხარეზე გადავიდა, რომელმაც შეძლო მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება — 6:4, 6:3, 8:6. ამგვარად, ჩოგბურთში დამთავრდა „გონზალესის ეპოქა“ — კ. როზუელის სახით მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს.

ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐ

შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე წრის კენჭისყრა.

ტურნირის მონაწილენი მეორე წრეში დაიყენენ შემდეგნაირად: „სერვეტი“ (შვეიცარია)-„დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია), „ფორვერტსი“ (ბერლინი)-„გლაზგო - რეინჯერსი“ (შოტლანდია), „სტანდარდი“ (ბელგია) - „ვალკიაკოსკენი“ (ფინეთი), „ოდენზეე“ (დანია)-„რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი), „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)-„ტოტენჰემი“ (ინგლისი), „პარტიზანი“ (იუგოსლავია)-„იუვენტუსი“ (იტალია), „აუსტრია“ (ავსტრია)-„ბენფიკა“ (პორტუგალია). თურქეთის წარმომადგენელი შეხვდება „ნიურნბერგს“ (გფრ).

რედაქტორი ი. უგულავა.

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ



„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (თბილისი)-„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ბათუმი)

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲙᲠᲘᲕᲨᲘ

ᲒᲓᲠ (Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ „ᲠᲝᲢᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ“ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ)-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ (ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05677